

შპს ვესტ დეველოპმენტი

საიდენტიფიკაციო კოდი: 405323680

ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

კომპანიის რეკვიზიტები	1
შინაარსი	2
ფინანსური ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	7
1.ზოგადი ინფორმაცია	7
2.მომზადების საფუძველი	7
3.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
3.1.ფული და ფულის ექვივალენტები	8
3.2.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9
3.3 გადახდილი ავანსები	9
3.4 მზა პროდუქცია	9
3.5 სხვა მარაგები	9
3.6. ძირითადი საშუალებები	10
3.7 საიჯარო ვალდებულება	11
3.8. სავაჭრო ვალდებულებები	11
3.9 გამოუმუშავებელი შემოსავალი	11
3.10. გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	11
3.11. გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	11
3.12 სულ მოკლევადიანი აქტივები	12
3.13 შემოსავლის აღიარება	12
3.14 ხარჯების აღიარება	12
4. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები	13

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კომპანიის დასახელება: შპს ვესტ დეველოპმენტი
(ს/ნ : 405323680)

ფინანსური მდგომარეობა:

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	3.1	313	88,013
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3.2	1,492,212	1,045,948
გადახდილი ავანსები	3.3	772,281	599,981
მზა პროდუქცია	3.4	4,223,161	3,456,299
სხვა(მარაგები)	3.5	259,099	233,208
ძირითადი საშუალება	3.6	2,744,180	2,742,547
სულ აქტივები		9,491,246	8,165,996
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	3.7	68,260	722,569
სავაჭრო ვალდებულებები	3.8	639,802	0,00
გამოუმუშავებელი შემოსავალი	3.9	3,506,712	2,157,948
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	3.10	4,113,003	2,159,526
სულ ვალდებულებები		8,327,777	5,040,043
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,078,957	3,651,323
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	3.11	84,512	-525,370
სულ საკუთარი კაპიტალი		1,163,469	3,125,953
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		9,491,246	8,165,996
სულ მოკლევადიანი აქტივები	3.12	6,747,066	5,423,449

დირექტორი:

ი. გულბათაშვილი

/ ილია გულბათაშვილი/

მთ. ბუღალტერი:

გ. გუგუნიძე

/გიული გათენაძე/

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	01.01.2024 31.12.2024	01.01.2023- 31.12.2023
ამონაგები			
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	3.13	2,971,941	2,375,829
თვითღირებულება	3.14	-1,320,032	-1,277,535
საერთო მოგება		1,651,909	1,098,294
სხვა საოპერაციო შემოსავალი		18,955	48,939
დასაქმებულთა ანაზღაურება	3.14	-479,102	-277,301
ცვეთა და ამორტიზაცია	3.14	-2,877	-1,130
საპროცენტო ხარჯი	3.14	-398,715	-125,826
ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი	3.14	-180,288	-101,929
სულ საოპერაციო ხარჯები		-1,042,027	-457,247
მოგება / (ზარალი)		609,882	641,047

დირექტორი:

ი. ექვთიშვილი

/ ილია გულბათაშვილი /

მთ. ბუღალტერი:

გ. გიგინეიძე

/ გიული გათენაძე /

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		3,125,953	3,881,849
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-2,572,366	-1,396,943
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს		1,163,469	3,125,953

დირექტორი:

ი. კეცელაძე

/ ილია გულბათაშვილი/

მთ. ბუღალტერი:

ვ. ვაჩიშვილი

/გიული გათენაძე/

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	01.01.2024- 31.12.2024	01.01.2023- 31.12.2023
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	853,279	-698,973
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-8,397	0,00
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-932,582	773,082
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	88,013	13,904
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	313	88,013

დირექტორი:

ი. ექვთიშვილი

/ ილია გულბათაშვილი/

მთ. ბუღალტერი:

გ. გიგინეიძე

/გიული გათენაძე/

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ვესტ დეველოპმენტი“ ს/კ 405323680,

საწარმო დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 12/03/2019, რეგისტრაციის #B19111746, რეგისტრაციაში გატარებულია ქ. თბილისი, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებულია 12/03/2019,

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, ზურაბ იარაჯულის ქუჩა N 35.
დირექტორი: ილია გულბათაშვილი

საქმიანობის სახე: საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა
ეკონომიკური საქმიანობის კოდი : 41200

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს შპს ვესტ დეველოპმენტი-ის მეექვსე წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია ნორმატიული აქტების საფუძველზე:

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის;

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს „მსს ფასს“-ზე გადასვლის შემდეგ, არსებითად

არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი;

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების / ფულადი აქტივების / ვალდებულებების აღრიცხვა ხდება ანგარიშგების დღეს არსებული ეროვნული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები ასახულია ცალ-ცალკე, პირდაპირი მეთოდით.

ვალუტა	სავალუტო გაცვლითი კურსები პერიოდის ბოლოს	
	31.12.2024	31.12.2023
აშშ დოლარი	2.8068	2.6894

კომპანიის ფულადი სახსრები სალაროში და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს:

	ანგარიში	31.12.2024
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1110	0,00
საბანკო ანგარიში ეროვნულ ვალუტაში	1210	103
საბანკო ანგარიში უცხოურ ვალუტაში (USD)	1220	210
სულ ფულადი სახსრები:		313

3.2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის მომსახურების რეალიზაციის შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. შესაბამისად, ისინი კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად.
აღიარდება საქონლის/მომსახურების გასაყიდი ფასის ოდენობით.

3.3 გადახდილი ავანსები

კომპანიის ავანსები წარმოადგენს წინასწარ გადახდილ თანხებს საქონლის/მომსახურების შესყიდვის მიზნით და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა წინასწარ გადახდილ საოპერაციო ხარჯებს.

3.4 მზა პროდუქცია

მზა პროდუქცია მოიცავს ყველა დანახარჯს რის შედეგადაც პროდუქცია მზადაა გასაყიდად.

3.5 სხვა მარაგები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოსთვის დასაბრუნებელი გადასახადებისა).

3.6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების აღიარების კრიტერიუმები ბასს 16 - და მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახდელებს, არადაბრუნებად გადასახადებს, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს.

ერთჯერადი გამოყენების ან/და სხვა საგნები, რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია, ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება გამიჯნულად სხვა მიმდინარე აქტივების შემადგენლობაში.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით.

ჯგუფის სასარგებლო მომსახურების ვადები და ღირებულება პერიოდის ბოლოსთვის:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)	ღირებულება	აკუმულირებული ცვეთა	ნარჩენი ღირებულება
მიწის ნაკვეთი	-	2,730,392	0,00	2,730,392
სამშენებლო მოწყობილობები	5-10	8,474	2,825	5,649
ოფისის აღჭურვილობა	5-10	19,075	10,300	8,775

ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა:

მოხმარებისთვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს.

მცირეფასიანი ინვენტარი და ნივთები გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს.

კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისთვის აუცილებელი ნივთები და მასალები შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს.

3.7. საიჯარო ვალდებულება

საიჯარო ვალდებულება კომპანიის ვალდებულებაა და აღირიცხება როგორც ფინანსური ვალდებულება.

3.8. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც წარმოიქმნება საქონლის მოწოდებასთან ან/და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით.

3.9. გამოუმუშავებელი შემოსავალი

კომპანიის საქმიანობის შედეგად პერიოდის განმავლობაში აქვს მიღებული ავანსები, რომლებიც ნაღიარები აქვს მიმდინარე პერიოდის ვალდებულებებთან, შესაბამისად ასახულია ვალდებულებებში ფინანსურ ანგარიშში.

3.10. გრძელვადიანი ნასესხები სახსრები

სესხი აღირიცხება საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

3.11. გაუნაწილებელი მოგება/ზარალი

კომპანიას საქმიანობის შედეგად მიღებული აქვს ზარალი, რაც ასახულია ანგარიშგებაში.

3.12. სულ მოკლევადიანი აქტივები

სულ მოკლევადიანი აქტივები აღიარდება აქტივებში.

3.13 შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც:

- კომპანია მყიდველს (უწევს) გადასცემს მომსახურებას, საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- შესაძლებელია ამონაგები თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა;

შემოსავლების აღრიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდით.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

3.14 ხარჯების აღიარება

ხარჯები აღრიცხება დარიცხვის მეთოდით.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკურ სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

3.15 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის წარმოშობა განპირობებულია კომპანიიდან დივიდენდის გატანის ოპერაციის ნაწილში, რა დროსაც ბიუჯეტთან მოხდა ანგარიშსწორება, შესაბამისად მოხდა კომპანიის ფულადი სახსრების შემცირება, ამავდროულად მოხდა გაუნაწილებელი მოგების შემცირება რაც ასახულია ანგარიშგებაში.

4. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშის განმარტებით შენიშვნებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).


2024 წლის საანგარიშო პერიოდის ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის კომპანიაში არ ჰქონია ადგილი ისეთ მოვლენებს, რაც საჭიროებს ანგარიშგებაში მოცემული პერიოდის კორექტირებას ან შენიშვნებში მათ ასახვას.

„მსს ფასს“ სტანდარტზე კომპანიის გადასვლის თარიღია 2019 წელი

დირექტორი:

 / ილია გულუბათაშვილი/

მთ. ბუღალტერი:

 /გიორგი გათენაძე/